

ისრაელის ელჩის რან ბიდორის ვიზიტი ბურიაში



რეგიონში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების ფარგლებში, ისრაელის ელჩი საქართველოში, რან ბიდორი და ასაჰვის პროგრამის ხელმძღვანელი ვიორგი ულენტი გურიის რეგიონს სტუმრობდნენ.

ელჩის სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში ზურაბ ნასარაამ, გუბერნატორის მოადგილე აკაკი შენგელიამ, ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ და მერის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, ალექსი მამეშვილამ უმასპინძლეს.

ელჩმა დაა ურეკმა, ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი - „სერაფიმი“ დაათვალიერა, რომლის კეთილმოწყობაც ისრაელის საელჩომ დააფინანსა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ეაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესებას.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები საკრებულოში შეუძლიათ წარადგინონ 20 ივლისამდე.

სხდომაზე იმსჯელა ასევე „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის № 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბარე პაჭრობის რეგულირება კვლავ საკრებულოს ყურადღების ცენტრშია



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ეაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესებას.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები საკრებულოში შეუძლიათ წარადგინონ 20 ივლისამდე.

სხდომაზე იმსჯელა ასევე „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის № 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

ბოლო საკითხად განიხილეს „საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოცემა. № 15 (10351) 6 ივლისი, 2020 წ. შპსი 60 თმთრი.

გიბი უბულავა: „ხელისუფლებამ ილარ იქნებიან ბატონები, იქნებიან მსახურები“

ვინ მოიგებს სანაპიროს ბრიგოლია თუ უბულავა, ახას მოტობაში ბავიბობი

ალიონი. –ნაბიჯები, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გადადგას, არის ის, რომ არჩევნების გზით ჩამოვიშოროთ ივანიშვილის ხელისუფლება. სულ უფრო მეტი ჩვენი პარტიორი თავისუფალი სამყაროდან აცნობიერებს და აცხადებს იმას, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის დესტაბილიზაციის წყარო საქართველოსა და მთელ რეგიონში, მოყვანილია მაგალითები, როგორ ექცევა ივანიშვილი პარტიორებს. იგი აღიარებულა, როგორც საერთაშორისო გადმგდები თაღლითი და

როგორც მთავარი მოთამაშე დემოკრატიის წინააღმდეგ. ის აღარ განიხილება ჩვენი ამერიკელი და ევროპელი პარტიორების მოკავშირედ. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნებზე სხვა შედეგები დადგება, – განაცხადა 1 ივლისის „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ ოზურგეთში ყურნალის-ტებთან „ევროპული საქართველოს“ ოზურგეთის ოფისში შესვლამდე.

ოფისში უგულავამ ისაუბრა მომავალი საპარლამენტო არჩევნების პერიპეტი-

მდინარე სუფსის აუზში ლიცენზია დაყვადებული და წარმოების უფლებაზე მქონე კომპანია მოსახლეობის დიდი პროტესტის მიუხედავად განაგრძობს საქმიანობას



ალიონი. – რატომ იღებთ ჩვენ კერძო კომპანია ვართ, წამალეთ გადაღებული ფოტოები, ვიდეოები – ასე მიმართავენ 1 ივლისის გაზეთ „ალიონს“ მდინარე სუფსის ხეობაში ქვიშა-ლორღის მომპოვებელი კომპანია „ნატა 2000“-ისა და „სამი ძმების“ წარმომადგენლები.

არადა, გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ და დამფუძნებელმა ლევან მგელაძემ მდინარე სუფსაში ქვიშა-ლორღის უკანონო მოპოვების დააფიქსირა კომპანია

„სამი ძმების“ ექსკავატორი. მდინარის ნატანის ამოღება სოფელ ბაილეთისა და სილაურის მოსახლეობის საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა.

– კორუმპირებული წიაღის ეროვნული სააგენტოს ჩინოვნიკები ასე დაუფიქრებლად ანადგურებინებენ ასეთ უპასუხისმგებლო კომპანიებს ჩვენს სახანა-სადოვრებს, – ვითხრა ბაილეთელმა მათა სარიშვილმა.

– მდინარესთან ასე თამაში არ შეიძლება. რატომ გვიყვიდან ჩვენს საკარმიდამო ნაკეთობებს? ჩვენ ავტობანც ვვინდა და

ქვეყნის წარმატება, მაგრამ ეს სოფლების საარსებო სახანა-სათესი ფართობების განადგურების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. მდინარე სუფსის ხეობაში ჩვენი სავარგულების 2/3 წაღებულია. ასე გამოხატა თავისი აღშფოთება აქციის მონაწილე ბაილეთელმა გია როყვამ.

– სოფელს გარე სავარგულები აღარ აქვს. ჭებში წყლები შრება, – თქვა სილაურელმა ნუნუ გარაყანიძემ.

– ჩვენ დაქირავებული ტრაქტორისტები ვართ. არც ჩვენ ვართ ბუნების ხელყოფის მოხრე. ჩვენ ვკუბუნებიან სათანადო

დოკუმენტები გვაქვსო, – ვვითხრა „კამაცუ 290“-ის ექსკავატორის მემქნე მამუკა ჯორბენაძის მამა სელმანმა. „ეკოს“ მოთხოვნით მათ ტრაქტორი მდინარიდან გამოიყვანეს. „ეკოს“ გარემოსდაცვითი დეპარტამენტის აჭარა-გურიის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა. მათ მოსვლამდე კომპანია „ნატა 2000“-ის და „სამი ძმების“ წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ და გადაგასული ხელშეკრულება წარმოადგინეს.

შპს „ნატა 2000“-ს (დირე-



გვ-2

გვ-8

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მილიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მილიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მილიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მილიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით - 14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორჯი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100
გაზეთი
რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

გიგი უგულავა: „ხელისუფლებები აღარ იქნებიან ბატონები, იქნებიან მსახურები“ ვინ მოიგებს სანაძლეოს პრივილეგია თუ უგულავა, ამას ოქტომბერში გავიგებთ

ეგზე და ამ არჩევნებისადმი ამომრჩევლის განწყობილებაზე. ევროპული საქართველოს ლიდერის თქმით, „ქართულ ოცნებას“ ამომრჩევლების დაახლოებით 40% ჰყავს, გაერთიანებულ ოპოზიციას კი - 60%-მდე, ანუ ჩვენი საზოგადოება მომწიფებულია მიიღოს სასურველი ცვლილებები და ამ სიტუაციას ოპოზიციის მხრიდან გონივრულად უნდა გამოეყენება. პირველ რიგში, აუცილებელია, პირველ ტურში გვეყვადეს რამდენიმე გამარჯვებული მაჟორიტარი, ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ცალკეულად ვერ შეძლებს, გაერთიანებისა და სწორი კოორდინირების შემთხვევაში კი, აუცილებლად შეიცვლება ხელისუფლება, - ხაზგასმით ამბობს უგულავა. მანვე დაადასტურა, რომ ოზურგეთში

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად „ევროპული საქართველო“ განიხილავს ხათუნა გოგორიშვილს. უგულავა ამ არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებაში იმდენად არის დარწმუნებული, რომ უზრუნველყოფს სანაძლეოს კანდიდატურას (?). როგორც თვითონ განაცხადა, ინგა გრიგოლიასთან დაუდია სანაძლეო, რომ 2012 წლის არჩევნების საპირისპირო შედეგი დადგება. ვინ მოიგებს ამ სანაძლეოს - უგულავა თუ გრიგოლია, ამას, სავარაუდოდ, ოქტომბერში გავიგებთ და ბოლოს, „ევროპული საქართველოს“ ლიდერი აცხადებს, რომ ამ არჩევნების შემდეგ „ხელისუფლებები არ იქნებიან ბატონები, იქნებიან მსახურები“.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის **ზურაბ ნასარაიას** ხელმძღვანელობით, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის მთავარ საკითხს 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვა და შესაბამისი პროექტების შერჩევა წარმოადგენდა. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში საქართველოს ოთხი რეგიონი, მათ შორის გურია მონაწილეობს. კანკურის მთავარ პრიორიტეტს ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენს. გურიის რეგიონისთვის 701 000 ლარია გამოყოფილი და შეირჩა ორი პროექტი.



შეხვედრაზე შერჩეული პროექტები მუნიციპალიტეტების ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული. სხდომას რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ბახმაროში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.



კორონავირუსის პანდემიის პირობებში, გურია, რომელიც „მწვანე რეგიონის“ სტატუსს ინარჩუნებს ტურისტების მისაღებად ემზადება. ტურისტული სეზონის დასაწყებად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს დაბა ბახმაროში, სადაც დამსვენებლების კომფორტული გარემოს შესაქმნელად ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. დაბაში ელექტრომომარაგების 0,4 კილოვოლტიანი ძაბვის ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გამრიცხველიანების სამუშაოების დასრულების შემდეგ 2 000 კომოს ექნება მუდმივი ელექტრომომარაგება. პროექტი რომლის ღირებუ-

ლებაც 2 849 000 ლარს შეადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. მიმდინარე სამუშაოები პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა რეგიონული განვითარების საკითხებში სოზარ სუბარმა, გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. „ბახმარო არის მარგალიტი კურორტებს შორის, თუმცა წლების განმავლობაში სამწუხაროდ დაგროვდა პრობლემებიც. ეხლა საუკუნის პრობლემა გვარდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბახმაროს, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ექნება მაღალი ხარისხის ელექტროენერჯია და წყალი. რაც მთავარია შედგენილი გენგეგმის მიხედვით მოხდება ბახმაროს განვითარება, რათა არ დაიკარგოს ის სილაბაზე და უნიკალური ბუნება რომელიც აქ არის“- განაცხადა **სოზარ სუბ-**

არმა. „კურორტზე დამსვენებლებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, მათ შორის ხდება გამრიცხველიანების ინტენსიურად მიმდინარეობს კურორტის დასუფთავება. პროცესში ჩართულია მერიის სხვადასხვა სამსახურები, რათა დამსვენებლებს ბახმარო მომზადებული დახვედეს. ასევე, იგეგმება ცენტრალური სკვერის მოწყობა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება“- აღნიშნა **ზურაბ ნასარაიამ.** როგორც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ირაკლი კუჭავამ** აღნიშნა, ბახმაროში 9 მილიონი ლარის სამუშაოები სრულდება, აქედან ელექტრომომარაგების პროექტში გასულ წელს 5 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ სამუშაოებში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

შრომა-ეკოლოგი-ღონაური-ნატანების გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მიმდინარეობს ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის ეკოლოგი-ღონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი. 6 032 კმ. სიგრძის გზის სამშენებლო სამუშაოებს შპს „საგზაო“ ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებულია: სანიაღვრე არხებისა და მილხიდების მოწყობა. სამუშაოების ჯამური ღირებულება 2 358 999 ლარს შეადგენს.



დაბა ურეკში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

მიმდინარეობს დაბა ურეკის („უსკალეია“) შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სამუშაოებს შპს "პალადა" ახორციელებს. პროექტის ჯამური ღირებულება 844 866 ლარს შეადგენს.



სამაღლოხალი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
მადლობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და კოოპერატივ „სოფლის იდეა 2017 წ.“-იმისთვის, რომ ამ რთულ პერიოდში მუნიციპალიტეტის სანერგედან უსასყიდლოდ გადმოგვცეს სხვადასხვა კულტურების მრავალწლიანი ნერგები, კერძოდ: 840 ძირი ვაზი („ჩხავერი“, „ცოლიკური“, „საფურავი“ და სხვა); 220 ძირი მარადმწვანე მცენარე (ნაძვი, ფიჭვი); 1250 ძირი ერთწლიანი კულტურები.
 მადლობა მინდა ვუთხრა სანერგე თანამშრომელს **ვასილ ცინცაძეს**, რომელიც უანგაროდ გვემსახურება ვაზისა და წიწვოვანო მცენარეების გაშენებაზე.
 ფერმერთა 27 ოჯახის სახელით,
ნიკოლოზ ბაჯაიშიძე,
 სოფელი ბაზვი (ოქროსქელი).

ლიტერატურული გურძია



საქართველოს მფარველთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორბანიზაციის გაზეთი № 4, (7), ივლისი, 2020წ

ნუნუ შარაშიძე

კატარგალი აკაცია



დახუნძლულა აკაცია – თბილი ასოციაცია ზედ ფუტკრების ფაცფაცია, – ამზადებენ პანაცეას. მაისია...აკაციამ არც აცხელა, არც აცია, დედოფლობა მონინდომა, კაბა უკვე ტანთ აცვია, კოპწიოებს პატარძალი, ნეტავ სიძე რა კაცია?! – დახუნძლულა აკაცია, ზედ ფუტკრების ფაცფაცია გუნდრუკს აკმევს, – ეს სურნელი ლამის სულის წარმტაცია. ამ ფიქრებმა, ფანტაზიამ, ჩემს ეზოში გადაშწია... იქ ადგილის დედა მღერის, დიდი ღვაწლი გამიწია, მან შვილები დამიზარდა და აკვნები დამიწია... – დგას ეზოში აკაცია, საოცარი ფაცფაცია, აქეთ მესმის... „კაფე-თესე“, იქეთ კიდევ – „წია-წია“... პატარძალი აკაცია, მართლაც თვალთა წარმტაცია!
22 მარტი, 2014.

ნანა ტრაკაიძე

კვლავია ბებია

დიდი ხნის წინათ, მე ვიყავი ხუთი წლის მაშინ, (ხუთი „ათწლედი“ გავაჯიბრე უკვე კალენდარს), ჩემგან გავლელულ ცხოვრების კვალს თვალი ვერ წაშლის, ვერც წაიკითხავს ბავშვურ აზრებს ახლა გარედან. შორიდან ვხედავ უსურათო საფლავის ფართობს, მივდივარ, ფეხქვეშ ბალახი და მიწა მღერის, აქ გულყვითელა ჩიტი გულცივ სიმშვიდეს ართობს, აქ დედამიწა ჭრელია და ნაირფერია. აქ კესანები, ნარცისები, ჩაის ვარდები კეკლუცობენ და მზეც სიცოცხლეს უფრო ახელებს, დროს წუთებს ვპარავ და წარსულში გადავვარდები, ნიაქარით ჩამოვუვლი ნაცნობ სახელებს. აქ პელაგია ბებიასთვის გათხარეს მიწა, აუზომელად, (რად უნდოდა აზომვა ანდა?!). იმ შემოდგომით მის ეზოში მსხლის ხე წაიქცა, (ძველი იყო და ფულუროდან გული უჩანდა). დაიბრძნა ხალხმა ავის ნიშნად და ხმა გავარდა, თუმც მდუმარებამ ის ხმა მიწვივ დასამარა, შემორჩენილი ამა სოფელს მოხუცი დარდად, ერთადერთ შვილის საფლავის და ხსოვნის ამარა, არსაით წასვლას არ იჩქარის, ხმა რად გავარდა?! ჩურჩხელის ასხმას, ჩირის მწკრივებს პარმალს გააცნობს, მეზობლის ბავშვის დახმარებით ქვეით ჩავა და ძირხმატკბილ დილინს უფეშქაშებს, ისე, სანაცვლოდ. ჩამოვდება და დაისვენებს იქვე, ბუხრიან ოდის კარებთან, გადახედავს ხეხილს, ნამყენებს, არცერთი წამით მოხუცს წარბი არ შეუხრია იმ ბავშვებისთვის ყირამალა რომ დააყენეს ბოსტანი, ბაღი, ეზო-კარი და ღობე-ყორე, ბოლოს სათხილეს მიაკითხეს ცხენ-ჯოხებიან



არმით, ხმლებით და ღიმილით თვალს გააყოლებს მათ არავისი, მაგრამ მაინც ყველას ბებია. თხილის ბუჩქიდან აასხლიტეს ნელდა შოლტები, მშვილდი გაჭიმეს, გამოხშირვა თხილსაც არგია, რაც ხანი გადის, ფიქრით იმ დროს ვუახლოვდები, დროს, სიყვარულისფერებთან, ოქროსთარგანს. უკანასკნელად დაისვენა, შუქი მოჩრდილა, შორს, პორიზონტი ჩამავალ მზეს სხივებს ათლიდა და სანამ სიკვდილს მიეგება მშვიდად, მორჩილად, (ჯიბე არ ეყო), აკეცილი კაბის კალითდან ჩამოგვირიგა კანფეტები საცალოდ, ყველას: ხმლიანს, ისრიანს, მტერს, ჩვენთან თუ მოთარეშებს, ღმერთს მიაბარა სული თვისი მან, უშფოთველად, არც ჩვენ დაგვტოვა ჩურჩხელის და ჩირის გარეშე. დიდი ხნის წინათ...(სულ ვისხენებ იმ ლამაზ დრო-ჟამს), აგვიფრიალა (ის წარსული დამნანებია), ჩურჩხელეებით გაფენილი სიკეთის დროშა, არავის, მაგრამ მაინც ყველას ტკბილმა ბებია.

26.06.2020 წ.

სტუმარი

ხელოვანი „ფეისბუქების“ სამყაროდან

ნახევარი საუკუნეა, რაც ვშურნა-ლისტოზ და ღღმღმ არ მძონია შემთხვევა, თანაკლასეშლისგან ინტერვიუ ავიღო. დღეს მომეცა ამის საშუალება და მოსარული ვარ, რომ ჩვენი რუბრიკის სტუმარია გულნარა მიძანა-ამ-სვანიძე, რომელსაც ფეისბუქში უფრო „გულო ბაბო“ სახელწოდებით იცნობენ. კი, გულო ბაბოა, თანაც მრავალგზის, მაგრამ ისე ბავშვობა, საბავშვოდ არ მემთხვავა და ძალს, რომელმაც, რომორც საინტერესო შემოქმედება, ოთხი წინისა და ათასზე მეტი ნაქსოვი მინიატურული თოჯინის ავტორმა, მართლაც წარმატებით იღვაწა ჩვენს ქვეყანასა და იტალიაში, მე, უბრალოდ, „გულოს“ დავუბახებ. ისე, სანამ ასე ცნობილი ხელოვანი გახდებოდა, გულო ჩემი ღმერთის პირველი პირტიკოსი იყო, დაუნდობელი, მაგრამ სამართლიანი.



- გულო, კეთილი იყოს შენი ფეხი „ლიტერატურულ გურძიაში“. პირდაპირ გკითხავ, ყაინალი თუ თოჯინა?
- ეს ორი ისეთი ინსტრუმენტია, რომელმაც მომიტანა ის, რაც მომიტანა. ორივე, მაგრამ, ჩემი აზრით, ყაინალით მეტს ვაკეთებ, საინტერესო მიკროსამყაროს ვქმნი. უფრო ცნობილი თოჯინების ქსოვით ვაგუნდი.
- რაზე ასეა, უთხარი მკითხველს საიდან წამოვიდა, როგორ გაჩნდა თოჯინების მოქსოვის იდეა? კონკრეტულად რამ განსაზღვრა ეს არჩევანი?
- ბავშვობაში ორი ოცნება მქონდა: პირველი - მინდოდა, მესწავლა პოლიტექნიკურში, სადაც მამა სწავლობდა და მხოლოდ ერთი წელი იმუშავა გზის ინჟინრად. ბარისახოში დადილუა; მეორე - ვყოფილიყავი შრომის მასწავლებელი (ჩემი სკოლის შრომის მასწავლებელ ტატიანა შევარდნაძის სიყვარულით). ორივე სურვილი ამისრულდა. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საღამოს სწავლებას ჩავირიცხე. ბოლო კურსზე მჭირდებოდა სპეციალობით მუშაობის ცნობა, ამიტომ სკოლაში ზატვა-ზაზვას ვასწავლიდი. იმდენად გამოიტაცა პედაგოგობამ, უკვე ინჟინრობა აღარ მინდოდა... მეორე პედაგოგიურ სასწავლებელში მიმიწვიეს „შრომითი სწავლების მეთოდიკა-პრაქტიკების“ მასწავლებლად... მქონდა პროგრამა და ცოტა სახელმძღვანელოები. იძულებული ვიყავი ფანტაზიით შემექმნა ბევრი რამ. პროგრამა ქსოვას ითვალისწინებდა და მე ვასწავლიდი ყაინალით და ჩხირებით ქსოვას, თოჯინებსაც ვქსოვდი, ჩვეულებრივს, სტანდარტულს, ისეთს არა, ახლა რომ ვქსოვ.

იმ დროს კობა ჭუმბურიძე თავის „რუბიკონს“ გვთავაზობდა. თავიდან ვერ ავუღე ალღო, მაგრამ ერთ დღეს ასეთი აზრით იყო მოთხოვნილი - რუბიკა ზღვაზე და გაჩნდა იდეა, მოეხსოვე პირველი თოჯინა „რუბიკა“, შემდეგ - „ფერადკანინი ქალი“. ძალიან მოეწონათ მეგობრებს, გონა ბაქრაძემ ლექსად დამიწერა, მეც მომქსოვე და ქალი მომიყვენ გვერდითო. აი, ასე დაიწყო „რუბიკონის“ ნაქსოვი პერსონაჟების შექმნა, რასაც „ფეისბუქით“ მოჰყვა. სწორედ გონა ბაქრაძის იდეა იყო „ფეისბუქით“ დარქმეოდა მეგობრების სურათებიდან მოქსოვლ თოჯინებს.

ერთ-ერთი თოჯინა ისე ჰგავდა ნოდარ დუმბაძეს, ანზორ კაკაბაძემ შემოთავაზა, იქნებ ნოდარის რომელიმე ფილმი გაცოცხლო. ასე მოეხსოვე „თეთრი ბაირალები“ პერსონაჟები.

- ეს ყველაფერი მეგობრებში, მაგრამ, რამდენადც ვიცი, უფრო პოპულარული გამოფენებით გახდა.

- პოპულარობისა რა გითხრა, მაგრამ დიდი გამოხმაურება კი მოჰყვა გამოფენებს როგორც საზოგადოებაში ისე, მედიაში.

ბევრი ქსოვს თოჯინებს, მაგრამ მინიატურული, ისიც სურათებიდან, მგონი ჩემი თოჯინებია. ყველაზე პატარა 10 სანტიმეტრია, ყველაზე დიდი - 25 სანტიმეტრი.

2011 წლის იანვარში 120 თოჯინით გამოფენა მოვაწყვე ბათუმსა და თბილისში. ის თოჯინები გაიყვინა და ბავშვთა სახლს მცირედი დახმარებით ვესტუმრეთ. ამის შემდეგ არაერთხელ შედგა ჩემი თოჯინების გამოფენები ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. რამდენჯერმე - იტალიაშიც. ბოლო გამოფენა შარშან, ზაფხულშიც შედგა და ამ ქალაქებს ოზურგეთი დაემატა.


- იტალია ასევე და რამდენი წელი იყავი ამ ქვეყანაში?

- იტალიაში 17 წელი ვიყავი, კიდევ ვაპირებ რამდენიმე წლით წასვლას. ბევრი რამ გვაკეთე იქ ყოფნის დროს, 4 წინი დაიბეჭდა. დასაბეჭდად გამზადებულია რამდენიმე ზღაპარი. სულ, ალბათ, ათასამდე თოჯინა მოეხსოვე მეგობრების სურათებიდან და ზღაპრების პერსონაჟები. ნამეტნავად შემიყვარდა იქაურობა.



60 წლის წლის იუბილეზე თოჯინებთან ერთად

სტუმარი ხელოვანი „ფეისბუქის“ სამყაროდან



თემურ მარშანიშვილი

- წიგნი, კინო, მუსიკა... ვიცი, რომ ამ სამ ფენომენს ვერ შევლევ. ვინ არიან შენი საყვარელი მწერალი, მსახიობი და კომპოზიტორი?

- საყვარელი მწერალი - ნოდარ დუმბაძე, საყვარელი მსახიობები - კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი (მაგათი თოჯინებიც მაქვს ზღაპრისთვის), საყვარელი კომპოზიტორი - ვია ყანჩელი.

- კინოში გამომჩნა, ოჯახს არ გაგვაცნობ?

- გაგვაცნობ და დაგპატივებთ კიდევ. ვცხოვრობ ბათუმში. მყავს მეუღლე ვაჟა სვანიძე, შვილები: თემური - 48 წლის, ალექსანდრე - 43 წლის და თამარი - 30 წლის. თემურს ორი შვილი ჰყავს: ნიკა - 26 წლის და თიკა - 24 წლის; ალექსის მილენა 24 წლისაა, მაგისტრატურას ამთავრებს წლეულს; თამარის გაბრიელი 10 წლის გახლავთ უკვე, ნაბოლარა ალექსანდრე კი 5 წლის გახდა.

- და ბოლოს როდის დაბრუნდები, გულო, იტალიიდან?

- ჯერ არ წავსუვლავარ...

- მშვიდობიან მგზავრობას და ბედნიერად დაბრუნებას გისურვებ. იმედია, კვლავ იქნებით „ლიტერატურული გურია“ სტუმარი.

- საიმიოვნებით.

ესაუბრა თამარ მარშანიშვილი.

- ოო, ნამეტნავად თუ შეგიყვარდა, მაშინ ასე დავსვით კითხვა: საქართველო თუ იტალია?

- მიყვარს იტალია, მაგრამ საბოლოოდ მაინც საქართველოში ჩამოვალ.


- გურიაში არ იცხოვრებდი?

- თუ ღმერთმა ინება, ვიცხოვრებდი, რა თქმა უნდა, გურიაში, ასაკში შესვლისას ბავშვობის კუთხემ მონატრება იცის.

- ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი?

- ალბათ, არაფერს.

ზეზვა გურიელი



ვარ ჩრდილი ლექსის, როგორც სტრიქონი, მიმტევებელი ცისფერ ქალების, თუ არ გამაჩნდა ჯიში და მოდგმა, რად გაეახილე ნეტავ თვალები?

თუ გრივალა, უნდა იყო მართლა გრივალი, რომ ჩამახუტოს მიწას ვედრებით.

მოჰყავს სინათლე, თეთრი ტროფობის

მესაიდუმლე -

მზე ამაცი და გაუყიდველი.

ოხ, მთავარია, რომ ვთქვა სიმღერა, სიმღერა ნუ ეტებს ფერებს,

მანია თავართქილაძის კოჭიტისებები

თუ ადამიანმა გაწყენინა, მიეცი კანფეტი. თუ მეორედაც გაწყენინა, ისევ კანფეტი. მასე განაგრძე, სანამ მაგ იდიოტს დიაბეტი არ დაემართება.

- ექიმო, დამეხმარეთ, სერიოზული პრობლემა მაქვს.

- ვისმენთ, რა ხდება?

- ყოველდღე კუჭში გავდივარ, დილის 7 საათზე.

- და რატომ მიიჩნევთ, რომ ეს პრობლემა?

- 8 საათზე ვვდები.

ნურ ეტენს ჩრდილებს
ნურც სამოსელს და ნურც აღვირს.

მთებში

ლაჟვარდი მღერა,
თანმიმდევრობა,
თანადგომა,
გაღვიძება, გაბრწყინება,
განმარტოება -
შელავათი ამბოხების.

მამისადმი

მე ვეძებდი შავ ქარებში ლურჯის ლტოლვას,
მივატოვე ზამთარი და არეალი,
ხარ პოეტი, მგოსანი და ჭემმარტიად
გულით ჩემი მეგობარი.

თეთრ ემბლემად მოჩანს სივრცე,
მოაქვს სიმღერა, მელოდია
თუ სიმღერა არ მოგწყინდა,
მაშინ ვიღაც გელოდება.

რამდენი რამე გამოსცადე
და დაივიწყე,
რომ შენი სახე
და სიწმინდე ისევ გენახა.

- კარანტინის პირობებში სამოსელი სად შეიძლება შევიძინო?

- დონანაშვილის?

- ბრენდს არ აქვს მნიშვნელობა, რაც გინდა იყოს.

26 ივნისი ვალების მოტანის დრო ყოფილა და ჩემი ვალი არავის გქონდათ?

თუ მოიწყინე და არ იცი, რა გააკეთო, ფლეშმობი მოაწყვე სამსახურში - დაამთქნარე.

მხტოვანი პოეტი და მისი მკითხველი ახალი წიგნის მოლოდინში

ქალაქ ლანჩხუთში გამოცემლობა „პო და არა“ გამოსაცემად ამზადებს პოეტ ჯემალ (დავით) დობორჯგინიძის რჩეული საბავშვო ლექსების კრებულს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, „ჩემი გურია“ მალე ნორჩი მკითხველის ახალი სამაგიდო წიგნი იქნება. წიგნის რედაქტორია ნონა გიგინეიშვილი, მხატვარი - პოეტის ვაჟი ზაზა დობორჯგინიძე.

პოეტი მადლობას უხდის ბათუმელ ექიმ პედიატრებს, ქალბატონებს ნაზი ყურშუბაძეს და ნინო ჯიმშელაძეს წიგნის გამოსაცემად ფინანსური დახმარებისთვის.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.

ჩემი გურია

ცას სილურჯე, კლდეს ჩანჩქერი,
კორდებს შვენი ნაკადული,
საცალფეხო ბილიკები,
მთებს თოკებად დაკიდული.

აქით ყანა, იქით ზვარი,
მიწა მწვანით დაღვრული,

ყვავილები ათასფერა,
მთელ წელიწადს გაზაფხული.

ხალხი მხნე და მოკისკასე,
მოწყრიალე ჩანგურია,
ბებოს ზღაპრებს, ბაბუს მარანს,
ვენაცვალე ჩემს გურიას!



ბაბუაჩემს სტუმრები ჰყავს

ბაბუაჩემს სტუმრები ჰყავს
ღვინოც შესვეს ერთი ჭური,
კერიის კვამლს ცაში გაჰყვა
ჩაგრეხილი „კრიმინალური“.

ცისარტყელა

ინდი-მინდი, ფერი შვიდი,
შვიდი ფერი, განა ოცი,
მზემ რომ პირი დაიბანა,
ცამ მართვა პირსახოცი.

რეზი ცინცაქე



ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიფანს...
და როცა ერთი ხე დგას ეზოში,
სურათებს როცა მხოლოდ ცა იღებს.
გამოიქცევა ბავშვი მეზობლის-
ფრანს ჩამოხსნის და სახლში წაიღებს.

მუსიკის ფონზე

ნოემბერია და ქუჩის ვიწრო ვაკონებს ქარი
არწევს,
მზე ეტოლება პატარა გუბებს და ღრუბლებს
იკუნებს ზეცა,
ჭადრის მომაკვდავ შვილებს დაჰხარის მიწა და
ეტებს საწოლს,
შენ კი უბრალოდ მუსიკის ფონზე კიდებ სველ
თოკზე ზეწარს.
ნოემბერია და ცა ღრუბლების ვეღარ აუღის ქოშინს,
არც ღმერთმა იცის ამ შემოდგომის (თავი კი)
ბოლო მხოლოდ,
შენ უკვე ხის და ლექსებით სავეს ცხოვრობ
პატარა ქოხში

წვიმდა

შენ გეცვა წვიმით ნაქსოვი წინდა,
რაც დაგერღვევა თოვლივით წელსვე,
ჩემს გვერდით, ჩემს წინ, ჩემს უკან წვიმდა
და წრეს ვიკრავდი ხელებით წელზე...
ასე არ იყო ადრე და წინათ,
როდესაც ქარი მიღობდა მანტოს,
არ მეხებოდა არასდროს წვიმა
და ახლა წვიმა მეხება მანტო.
როგორღაც შენი სულივით წმინდა,
ეხედავდი როგორ გვეფარავდა ბინდი
და ჩემო, ისე ლამაზად წვიმდა,
ვერ გაიგებდი წვიმდა თუ წვიმდი.


ფრანი

ახლა სურათებს მხოლოდ ცა იღებს,
მიწა შიშველი თითქოს გაირყვნა,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიფანს.
სამოწყალო ხურდა გაიღეს
ღრუბლებმა, თითქოს ზეცა გაიხა,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოყვანილს ქარი წაიფანს..
ვერ ენაცვლება სიტყვა თარიღებს
და იკრიბება ჯარი თარიღთა,

და მეც სხვის სახლში დამეს ვათენებ მაგრამ
ჩვენს ქოხში ვცხოვრობ.
ნოემბერია ქარი ნადირობს მღვრიე ფოთლების რაზმზე,
შენ კი უბრალოდ ლექსს მოზეპირებს სველით
აღსავსეს გძინავს,
ნეტავი კიდევ როდის ან როგორ ვიქნებით
ერთად ასე,
შენ უკან ფილტვებს შორის მყოფი და მე
გულთან ახლოს წინ ვარ.
ნოემბერია და ქარმა ფოთლებს ვერ გაუკეთა როქი,
მთის წვერზე მღვამ მზეს არ ეშუქება მისი
თავისგან ჩერო.

და ეს ლექსებით ნაშენ ნაოძო ნალექსებარი ქოხი,
ივსება შენი სურნელითა და ჩემი ქარიზმით ჩემო.
ნოემბერია და წვიმის მსგავსი აზრები მეფობს
შენში,
მზე ეტოლება პატარა გუბებს და ფრჩხილებს
იკუნებს ზეცა
მე უსათუოდ ვერ ნაშენ ქოხთან შენი ლოდინი
შემშლის,
შენ კი უბრალოდ მუსიკის ფონზე გაკიდებ
თოკზე ზეწარს.

მონატრიული მემორის კალმის აკილობიდან ნუკრი ნიკოლაიშვილი აკვანი საბუხრედ



– გამოიდარა ვითომ? – ბერიკაცმა თვალები მოჭუტა და ჩამოწეული სარკმლიდან გვერდულად ახედა მოჭუტურულ ცას.

– მომდარებელს რა უგავს... – წაიდუღუნა ქალმა, – შენი ჯაბახანაც ისე ხრინწიანად თუხთუხებს, ვაითუ ამ ცივ ღამეში სულაც გზაში დაგვტოვოს!..

– ჰე-ჰე, განა ადრე დღემუდამ არ მსაყვე-ღურობდი, შინ ისე არ ბრუნდები, სტუმარი არ მოიყოლიო და ხეირიანად ვერც კი დაგლ-აპარაკებდნარო?... – ჩაიციხა ბერიკაცმა და პლა-ფონის შუქზე ინსტრუმენტებიანი ჩანთა მოჩქიკა. – ჰოდა, ბოლოს და ბოლოს ეროტ-

იკულად განვმარტოვდებით...
– შეაბურდი მაგ დანჯღრეულ ბებრუნანას და ორივე გამოჩურჩულდით. ღლაბუცს კი მაინც არ იშლი...
ბერიკაცი ზანტად გადმოიზღაზნა, მანქანას შემოუარა, კაპოტი ახადა და ერთხანს ფარნის შუქზე ჩხირკედლაობდა. მერე რამდენჯერმე ააშუშავა, მაგრამ დაქოქვის უმაღ ქრებოდა.
– დაგბრუნდეთ-მეთქი!.. – არ მინდა ღამე კონ-სერვის ქილაში თევზით ჩაჭეჭვილმა აქ გავათიო... – კაპასობს ქალი. – ნეტავ რა მრჯიდა, ამ ყიამეთში ამოდენა გზაზე რომ წამო-გყვი: აკი ბადიშები აგერ ახლა არ გავისტუმრეთ?
– ჰო, რაღაც წაეკიდა ამ სამგელს... – ჩაიბუზღუნა ბერიკაცმა და გადამსკდარი ხვითი იდაყვით შეიმშრალა. – წელან ენამ გიყვილა, რაღა... ეპ, ისიც ხეირია, მართლაც შუაგზაში რომ არ დაგვტოვა!.. დაგბრუნდეთ, მაგრამ რომ შემინდნენ? – კეფა მოიქეჭა.
– უკვე დავრეკე, მანქანამ გვიმუხთლა-მეთქი!..
– მაშ, თუკი ციცა და სიძე – თვალის სინათლე აღარ ინერვიულებენ, მართლა დაგბრუნდეთ...
ბერიკაცმა მანქანა დაქოქა, ღმუილით შემოატრიალა და ბიძგებით გაეკანა.
– ასე სკუპ-სკუპით უნდა ვინტუნაოთ სახლამდე? – ქალმა მზრუნველად მოიწმინდა მოთხვრილი შუბლი.
– ვაითუ, სოფელში შუქი ისევ არაა!.. ამასობაში ბუხარიც ჩანავლდებოდა...
– ჰოდა, სულაც ლამპის შუქზე ვიქეფოთ!.. თითქოსდა მანქანას შინ დაბრუნება გაუხარ-დაო, მეტად აღარ გაავტუტებულა.

– მგონი გავცივდი, – დაიჩვილა ბერიკაცმა, მანქანა ეზოში შეაგორა თუ არა. – მთელ ტანში მამტვრევს...
–ახია შენზე. ხომ გეუბნებოდი, მანქანას რომ უკირკიტებდი, შიშითა და რაიმე მოიხურე-მეთქი!.. – ნიშნის მოგებით უთხრა ქალმა. – ცეცხლიც მოლაღ ჩაბუტულა...
– ერიპა, შეშაც კი აღარ დავაპე, რახან ამდამ შინ დაბრუნებას არ ვაპირებდი!.. თანაც, საჩეხში ნათურა გადაიწვა და აღარ შემიცვლია...
– რომ დამიჯერებდე და იმ შენს გამზრდელ აკვანს, გუშამ სხვენიდან რომ ჩამოიტანე, ბუხარს შეუკეთებდე...
– რაო?! – აღმოხდა ბერიკაცს.
– მთლად გამოხრული და დაფუტურობულია. თუკი არ დაიწვა, ამ ისედაც ძველ სახლში რკილი და ჩრჩილი სხვა ავეჯსაც მოედება... ისევ გაკაპასდა ქალი.
– წყევლა კი გამოიგონია: დაიწვა შენი აკვანიო, მაგრამ საკუთარ წარსულს ასეთი უღმობელი განაჩენი როგორ გამოვუტანო!.. – უილაჯოდ შფოთავდა ბერიკაცი.
ქალი ელოდა, რომ ბერიკაცი იფეთქებდა და კიდევაც ფიქრობდა, როგორ დაეუყვავო და დაეაშოშმინო. ეგონა, ყველაფერს დალეწავსო. ასე გაშმაგებული, ლამის ნახევარსაუკუნოვან თანაცხოვრებაში, იშვიათად თუ ენახა, ბოლო ხანებში მაინც: მის თვალებში ძველებურად ნაბერწკლებმაც გაიკვესა. ქალს ისიც გაუეღვა, ნეტავ რა მრჯიდა, განგებ ავიტეხე ხათაბალო.
– დახე, დღეს შუქი აღარ გამოირთეს... ჯერ ივანშემებ? ჭკატაც მაქვს გადანახული...
ბერიკაცი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან და

დამტვერილი აკვანით დაბრუნდა, რომელიც ძალოსანივით ორივე ხელით თავზემით აღემართა. ბუხრის პირას დადგა და პატარა ხელცული ისე გამეტებით დასხო, თითქოს ვინ-მეზე ვინი უნდა იყაროსო. დანაფოტებულ რიკულებსა და ჩუქურთმებს კი აგუზგუზებულ ცეცხლში ყრიდა.
– რომ დაიჩეხებოდეს, ბარემ იმ ჯაბახანასაც ბუხარს შეუკეთებდი!.. ბერიკაცმა ხელებიც კი მოიფშენიჭა.
ქალს თითქოს კრიჭა შეეკრაო, უხმოდ შეკურებდა ჟინტანად ბერიკაცს, გაავებით რომ იქნევდა ხელცულს.
– ნახე, ერთი ნახე, რა ბალაბულა დავანთე!.. – ენას იჩლექდა ბერიკაცი.
ლაწალუწითა და ტკაცუნით გულმეღონებულ ქალს ვეღარ გადაეწევიტა, ცელქობისათვის დაე-ტუქსა თუ შეეუკლიანებინა.
– ისლა მანუგებებს, რომ ამ აკვანში ჩვენს გოგონა არ გაზრდილა: ჩვილობაში კრუნჩხვაში რომ ჩავარდა, აკი მაშინ აგვიკიბდალეს ექიმებმა არტახები... – აქომინებული ბერიკაცი უცებ დამშვიდდა და ქანციმილეული ბუხარს მიეფიცხა.
ვიდრე ქალი დაბრუნდებოდა და ტაბლას გააწყობდა, ჩანავლებული ბუხრის პირას ჯორკოზე მჯდომ ბერიკაცს თავი ჩაეჭინდრა და ჩამოჰყვინთვოდა.
სუფრა გაშალა და მერეღა უხმო, ბარემ ივანშემე და დაწეკი, თორემ სადაცაა, გათენდებო... რომ აღარ უპასუხა, კიდევაც შეაჯანჯღარა, მაგრამ მშუტავ მუგუზალს ჩამტერებულ ბერიკაცს ცეცხლი თვალებშიც საშუადამოდ ჩაქრობოდა...

ოტია ტრაპაიკი



საქართველოვ, სად იყავი წასული

საქართველოვ, სად იყავი წასული, რა ხანია, სამშობლო არ მივრძნია, მიხარია, ცა კოკოცით ვიციანი, მიწა – სუფსით, სუფსა შენი სისხლია. ხმა ჩამესმა, მე რომ ვფიქრობ – ის არის, ეს მომავლის, ეს ოცნების ხმებია, საქართველოვ, დაბრუნებას გილოცავ, საღამოა, ორი ოქტომბერია.
სახლში დარჩი, აქ იყავი, ნუ წახვალ, ვერ ავიტან შენს დაკარგვას ხელახლა, ოცი წელი რაც ენახე და ვეწამე, ბერიკაცი ხელმეორედ ვერ ენახე. საქართველოვ, სად იყავი წასული, ბედი შენი – ვაი, ბეწვევ ეკიდა, იმხანის გაჭირვება არ მახსოვს, თითქოს დედას ამაღლივხვს მკერდიდან. ყველა ფეხზე დაგიდგებით, შვილები, მართლ არ ვარ, ჩემხანის ბევრია, საქართველოვ, დაბრუნებას გილოცავ, საღამოა, ორი ოქტომბერია.

ორბი

გაზაფხულია, გავყურებ სივრცეს, ტყემლები თეთრად გამოიფინა, იმერეთიდან მოფრინავს ორბი, სურების ფრთები გადმოიფრინა. ოქროს ნისკარტით ვეება ჩიტო, და მოგატყვს ჩემთვის დედულეთიდან, რაც მთავარია, სიკეთე იყოს, ვისი იქნება, ეს სულერთია. რამ ან ვინ გავყვო, ღმერთო, მიშველე, ათასჯერ მითქვამს – დამიწერია, საქართველო – სამშობლო ჩვენი: გურიაა თუ იმერეთია. გაზაფხულია, გავყურებ სივრცეს, ტყემლები თეთრად გამოიფინა, იმერეთიდან მოფრინავს ორბი, გურიის მთები გადმოიფრინა.

შენ იავნანა მიმღერე, დედა!

ვისსენებ წარსულს, ან უფრო სწორად, ცხოვრებას შავ-თეთრ ტიტრებად ვხედავ. სამოცი წელი სულ გვერდით მყავდი, მე შენთან ერთად დაგბერდი, დედა! და ახლა, როცა სულ მარტო დავრჩი, ზამთრის სურების ბნელ-ცივ ღამესთან, ვის მივეთბილო ბებერი ბავშვი, რა მეშველება, აღარც გათენდა! ო, ღმერთო ჩემო, კვლავ შენ მიშველე, სიხმრად მოსულმა შენმა სიმღერამ, შენ იავნანა მიმღერე დედა, ეს უფრო ლოცვა, ვიდრე სიმღერა! და მას მერეა, აღარ მაშინებს ზამთრის სიცივე, ღამის დადგომა, სიმღერას ველი, ვით ქრისტიანი ცეცხლის გადმოსვლას ელის ადღვომას! შენ იავნანა მიმღერე, დედა!

თემურ მარშანიშვილი



ღმერთი რას იტყვის?!..

რითმები გოშიებია, ყეფენ, გალიეს კორდნი. უფ, ლექსი მომშიებია, სტრიქონს სვავივით ვკორტნი. ხანმოკლე, დაუდგომელი წლები ბებერის როლს მშრის, მოვა მეტყვევ გომელი, ხმელ წიფელს ძირში მომჭრის. იმედს ვიტოვებ ერთის, მტერი, სიკვდილს რომ მომჭერის, მისკენ გაშვერილ ჩემს თითს ვერასდროს ნახავს მოხრილს. მორჩილი ხალხი ვოგია, მებრძოლს – ძალა აქვს მოხერის. ზოჯერ მტრის ტყვია ჯობია მოყვრის მადლს პილაბილმოყრის. ზნეს არ უშველის ფარდა, ერი, რომელიც დროს ჰყრის, არაფერს შეება, გარდა ერთი ადგილის ლოკვის.

სადგურს ავცდიოთ თუ გავცდიოთ, დრო აღარ გვრჩება როკვის, იმ ქვეყნის მართლა რა ვთქვი, ტურა რომ მეფე ლომს ცვლის... ტბაზე სიმღერა გელის მოლოდინშია გონვის, ბრუნავს ბორბალი ბედის – ეს ბარბანს „კოლტის“... მალე მოვაო, მოგვსახავს ჟამი მეორედ მოსვლის, ღმერთი რას იტყვის, რომ ნახავს თავის მიწა-წყალს მოსვრილს?!..

აივნის ქურდები

ჩხრიალებს რითმის სურდები, ლექსის წერაში ვხურდები. აუტეხიათ ბუნტები, აივნებზე მყავს ქურდები. სიმწრით ჩაკვბინე კეხურა, ვთვლი, ვერ დავთვალე ბელურა, მათმა თავდასხმამ, მეხურმა არ შემარჩინეს მე ხურმა. მეხრე ვარ, ვცხოვრობ მეხრულად, ვინ მომამაგა მე ხულა? ფინჩხით გავავსე გლეხურად თავზე ქული რომ მეხურა.
კენკავენ წაყრილ ინჩიტებს, ხან ვუყვირი, ხან ვჩუმიდები, ესენი რომ არ მწიწკნიდნენ, ვერ ვიცოცხლებდი, ვრწმუნდები.
ამათ რად უნდათ გალია, კაკანათი თუ ხუნდები? კაი ჩიტები არიან ჩემი აივნის ქურდები!..

ვინ უზღიდა ხელს გავით „ალიონის“ შურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში და ვინ არის ვინამ დავით ჯანგაპიძე...



ალიონი. რამდენიმე დღე გაზეთი „ალიონი“ გარემოსდაცვით სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელი ირმა გორდელაძესა და ლევან მგელაძესთან ერთად მდინარე სუფის ხეობაში, ახალსოფლის ტერიტორიაზე (სოფელ ბაილეთის თემი) კომპანია „ნატა 2000“ და „სამი ძმების“ მიერ ქვიშა-ხრემის მოპოვების კანონიერებას სწავლობდა.

2 ივლისს, დილით, „ეკოს“ წყარომ აცნობა, რომ მათ შესაძლოა ხეობაში შესვლისას იარაღიანი პირი დახვდნოდათ, ამიტომ „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ „112“-ზე დარეკა. კარიერზე პოლიციის თანხლებით მივედით. ადგილზე მისულეს იარაღიანი პირი ნამდვილად არ გვინახავს, მაგრამ შავი „ჯიპით“ (TD-153-DT) უცხო პიროვნება იდგა მდინარის

ნაპირას, რომელიც პერიოდულად კომპანია „სამი ძმების“ მექანიკანს მამუკა ჯორბენაძეს გასასახებდა – „გაავრძელებო მუშაობა!“

ამ პიროვნებამ გაზეთ „ალიონის“ შურნალისტის შეკითხვაზე, ვინ იყო იგი და თუ კავშირი არ ჰქონდა კომპანია „სამი ძმების“ გაიზიარა გამოხატა. ყვირილით მოითხოვა ფოტო და ვიდეო გადაღების შეწყვეტა და თავად მობილური ტელეფონით დაიწყო გადაღება.

მას შემდეგ, რაც ახალსოფლის და სილაურის მოსახლეობა თანდათან შეიკრიბა ე.წ. „კარიერთან“ კომპანია „ნატა 2000“ და „სამი ძმების“ წარმომადგენლები გამოჩნდნენ და დაიწყო „გარჩევები“ მოსახლეობასთან.

ოზურგეთის პოლიციამ თავისი ფუნქცია კარგად შეასრულა და შემდგომი დაპირისპირების თავიდან

აცილების მიზნით კომპანიების წარმომადგენლები და „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძე პოლიციაში მიიწვია. გარემოსდაცველთა არგუმენტები პოლიციამაც მოისმინა.

3 ივლისს, დილით, „ეკოს“ გაარკვია, რომ უცხო პირი პირი ვინმე დავით ჯანგაპიძეა, „სოლის“ ყოფილი ოფიცერი.

გაზეთ „ალიონის“ არქივი ინახავს დავით ჯანგაპიძის საქმიანობის შესახებ გარკვეულ მასალებს.

2016 წლის 24 თებერვალს, დილით სოფელ ლიხაურიდან ნინო თოიძის საზოგადოებრივ დაგვირგვინს და გვითხრეს, რომ მდინარე აჭისწყლის ხეობაში, ე.წ. „დევის ქვის“ მდებარე უცხო შავი „ჯიპი“ ნახეს. სავარაუდოდ იქ ბაზალტის მოპოვებელი ორი კარიერის გახსნას აპირებდნენ. ეს ფიზიკური პირი დავით ჯანგაპიძე გახლდათ.

სოფლის ახალგაზრდების, აჭის დედათა მონასტრის წინამძღვარი იდუმენი ალექსანდრას, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარე მინდია სალუქაძის, ანსამბლ „ერიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელის, მხატვარ ვახტანგ მაქეშვილის და საზოგადოების სხვა ცნობილი სახეების პროტესტის შედეგად ჯანგაპიძის ეს გეგმები ჩაიშალა.

გაზეთმა „ალიონმა“ ამ თემაზე რამდენიმე წერილი მოამზადა: „ლიხაურელები, ოზურგეთელები აჭის ხეობაში კარიერის ამოქმედებას არ დაუშვებენ“ (29.02.2016 წ.); „რატომ არ უნდა გაკეთდეს აჭისწყლის ხეობაში ბაზალტის ქვის მოპოვებელი კარიერები“;

„მინიჭებენ თუ არა მდი-ნარე აჭისწყლის ხეობას დაცული ტერიტორიის სტატუსს“ (7.03. 2016 წ.)

ჯანგაპიძე ლიხაურში ბაზალტის კარიერების გახსნის გარდა ოზურგეთში კიდევ სამი კარიერის გახსნაზე სთხოვდა ნებართვას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. სამინისტროდან კი ოფიციალური წერილი თანდართული ტოპოგრაფიული რუკით, ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტში იყო გადმოგზავნილი.

აჭისწყლის ხეობაში რომ ბაზალტის ქვის მოპოვებელი კარიერი არ გაკეთდებოდა და მე-13 საუკუნის უნიკალურ ძეგლს აფთქებების შედეგად საფრთხე არ დაემუქრებოდა, ამის ოპტიმიზმი მოსახლეობას გურიის

იმჟამინდელი გუბერნატორის ვია სალუქაძის განცხადებამ მისცა: „ვერ-ავინ ბატონებო და ქალბატონებო, აჭის ხეობაში ერთ კენჭსაც ვერ გადაავორებს, ამის გარანტიას ვიძლევი, მე როგორც მხარის გუბერნატორი, ამ მხარის მკვიდრი!“

ბუნებრივია, დავით ჯანგაპიძეს ძველი „ანგარიშები“ ჰქონია გაზეთ „ალიონთან.“

გაზეთის რედაქტორმა 2 ივლისს პოლიციის წარმომადგენლების თანდასწრებით სიტყვიერად გააფრთხილა „უცნობი პიროვნება“, ხელი არ შეეშალა შურნალისტისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში და მისი მის სიტყვები მუქარის შემცველი იყო. თუმცა შემდეგ ჯანგაპიძე გაზეთთან კონფლიქტში აღარ შემოსულა.



მდინარე სუფის აუზში ლიცენზია დაყადაღებული და წარმოების უფლებაზე იერიშის კომპანია მოსახლეობის დიდი პროტესტის მიუხედავად განაგრძობს საქმიანობას



ქტორი ლევან სვანაძე და შპს „სამი ძმების“ (დირექტორი ივერი ფუტყარაძე) 2020 წლის 20 მაისს დაუდიათ ხელშეკრულება, სასარგებლო წიაღისეულის გაყიდვის თაობაზე.

ხელშეკრულების მიხედვით შპს „ნატა 2000“ 100 000 კუბმეტრ ქვიშა-ხრემს ყიდის სოფელ ახალსოფლის (ბაილეთის თემი) მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე „სამი ძმების“ უნდა მოიპოვოს ქვიშა-ხრემი ლიცენზიის პირობების სრული დაცვით და მოახდინოს მისი ტრანსპორტირება, სამეიოროდ „სამი ძმების“ შპს „ნატა 2000“-ს 400 000 ლარი უნდა გადაუხადოს, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება ნოტარიულად არ იყო დამოწმებული და მოქმედების ვადა 30 ივნისს გაუვიდა, თანაც კომპანია „ნატა 2000“ ლიცენზია დაყადაღებული აქვს (?)

კომპანია „ნატა 2000“-ისა და „სამი ძმების“-ის ხელმძღვანელებმა „ეკოსთან“ დადებული შეთანხმება, რომ ისინი 2 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში მივიდოდნენ და დოკუმენტაციას წარუდგენდნენ, არ შეასრულეს.

ისინი მდინარე სუფისას ახალ კალაპოტს უმზადებდნენ, ხოლო ახალსოფლისა და სილაურის მოსახლეობა მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირზე მათ ქმედებას აპროტესტებდნენ. ქვიშა-ხრემის მოპოვებელი კომპანიების ურთიერთობის ახალი ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, რომელიც პოლიციაში გასაუბრებაზე წარმოადგინეს.

„კომპანია „ნატა 2000 - ის“ და „აკეთის“ მფლობელი ლევან სვანაძე, კომპანია „აკეთის“ როგორ იბრუნებს ქვიშა-ხრემს წლებია ბუქნარში, გორაბერაგოულში და ქვემო აკეთში უკვე ვიცით. ყველა მიმართულებით კანონდარღვევა და ვანდალიზმი გარემოზე.

„ნატა 2000“ ერთ ლიცენზიას ვადა გაუვიდა მდ. სუფსაზე სილაურთან. ხოლო მეორე ლიცენზიას ვადა მომავალ წელს ეწურება. ეს ლიცენზია დაყადაღებულია და აქ წარმოება გასულ წელს შეაჩერეთ მოსახლეობის აქტიური ჩარევით.

ახლა მას ხელშეკრულება აქვს კომპანია „სამი ძმების“თან - გაფორმებული.

დაყადაღებულ ლიცენზიაზე ხელშეკრულება, რომელიც მათ წარმოკვიდვინეს, სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენს, და შესაბამისად არ აქვს

იურიდიული ძალა. იგი არც წიაღის სააგენტოშია რეგისტრირებული, არ ახ-ლავს სამოქმედო წლიური გეგმა-გაურკვეველია მოპოვების ვიდეო-გაყიდვის ფაქტიც. არც 400 ათასი კმ.მეტრი ღორღის მარაგი არაა აქ. მდინარედან ამოღის ტალახი. ანუ კალაპოტს აზ-იანებენ.

ზემოთაღნიშნული წარმოება არის უკანონო, საეჭვო და ვანდალიზმი. იგი უნდა შეჩერდეს.

ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი ქვეყნისთვის პრიორიტეტია, ოღონდ ეკონომიკურ განვითარებას მდგრადი უნდა დაეფუძნოს. ეს ნიშნავს ისე გამოვიყენოთ დღევანდელი რესურსი, საფრთხე არ შეუქმნათ მოსახლეობას, გარემოს, მომავალს. ჩვენ ამაში ზომიერებას ვერ ვიცავთ, რადგან კანონი არ კანონობს და შესაბამისი ინსტანციები ან უუნაროა, ან კორუმპირებული.

ქვეყანას დაეცემა, დროა გონს მოვევით“ – უთხრა გაზეთ „ალიონს“ სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ.

„გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ სოფელ სილაურისა და ბაილეთის მოსახლეობის მოთხოვნით გავიდა სოფელ სილაურში კარიერული წარმოების შესამოწმებლად. მოსახლეობამ იცის ჩვენი გამოცდილების შესახებ და გვითხვა შეგვემოწმებინა

რამდენად კანონიერად ხდებოდა კარიერიდან ინერტული მასალის (ქვიშა-ხრემის) ამოღება. მოსახლეობის და ჩვენი მოთხოვნით ადგილზე გამოცხადდნენ კომპანიის წარმომადგენლები და წარმოადგინეს საშუალო წარმოების ისეთის საჭირო დოკუმენტაცია. (როგორც განმარტეს არასრულად) დოკუმენტაციის პირველადი დათვალიერებით კარიერის მფლობელია შპს „ნატა2000“, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე საშუალოებს აწარმოებს შპს „სამი ძმების“. როგორც ჩვენი ადრეც ცნობილი იყო შპს „ნატა2000“ ლიცენზია დაყადაღებულია და შეჩერებული აქვს წარმოების უფლება, ხოლო შპს „სამი ძმების“-ს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება არის ვადა გასული და არ შეესაბამება წიაღის მოპოვების შესახებ მოქმედ კანონმდებლობას. მწარმოებლების მიერ დადებული იქნა პირობა, რომ სრულად წარმოადგენენ დოკუმენტაციას, რაც საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანად შევისწავლოთ წარმოების კანონიერება“ – გვითხრა 1 ივლისს, მოსახლეობის აქციის დასრულების შემდეგ სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ლევან მგელაძემ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +20+30 6 ივლისი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +21+32 7 ივლისი სამშაბათი	ღრუბელი +19+29 8 ივლისი ოთხშაბათი	წვიმა +18+27 9 ივლისი ხუთშაბათი	წვიმა +17+26 10 ივლისი პარასკევი	წვიმა +17+28 11 ივლისი შაბათი	წვიმა +17+28 12 ივლისი კვირა
-------------------------------------------------------	--------------------------------------------------------	---------------------------------------------------	-------------------------------------------------	--------------------------------------------------	-----------------------------------------------	----------------------------------------------